

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	<p>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (0422) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge</p>
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - კომპიუტერული მეცნიერება
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<p>საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; ➤ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ➤ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: ინგლისური ენა - B2 დონე და სპეციალობა; ➤ მობილობის წესით (შიდა/გარე) ჩარიცხვა; ➤ უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების შედეგად მუდმივად იცვლება, ვითარდება და ახლდება კომპიუტერული ტექნოლოგიები. თანამედროვე სამყაროში კომპიუტერული მეცნიერება ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად ცვალებად, განვითარებად და აქტუალურ სფეროდ ითვლება. კომპლექსურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, კრიტიკული ანალიზისა და ინოვაციური სინთეზის საფუძველზე დასკვნების ჩამოყალიბება თანამედროვე შრომის ბაზარზე ქმნის კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრზე მზარდ მოთხოვნას. ღრმა და სისტემური კომპიუტერული განათლება კი ბიზნეს გარემოსთან ადვილად ადაპტირების და შესაბამის სპეციალისტად ჩამო- ყალიბების საშუალებას იძლევა, რაც აუცილებელია მეცნიერების სხვადასხვა დარგის, ბიზნესისა და მენეჯმენტის, ინჟინერიის, მედიცინის, განათლებისა და სხვა სფეროების განვი- თარებისთვის.</p> <p>ქართულ და უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აქტუალურია ამ მიმართულებით სწავლებისა და კვლევის საკითხები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება კომპიუტერული მეცნიერების სწავლების მსოფლიოში აღიარებულ სტანდარტებს (acm.org და computer.org), კომპიუტერული მეცნიერების სფეროს სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. იგი მიზნად ისახავს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მაგისტრს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა თანამედ- როვე კომპიუტერული მეცნიერების ძირითად მიმართულებებში კომპლექსური პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების შესამუშავებლად; 2. კურსდამთავრებულს გამოუმუშაოს სხვადასხვა დარგობრივი სფეროს უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების დამოუკიდებლად კვლევის, მათე-მატიკური მოდელის აგების, პროგრამული რეალიზაციისა და მართვის უნარები კომპიუტერული ტექნოლოგიების გამო- ყენებით; 3. პროგრამის ფარგლებში გამოუმუშავებული კომპეტენ- ციებით კურსდამთავრებულმა შეძლოს სხვადასხვა სფეროსთვის კომპიუტერული სისტემების დანერგვა და მართვა, მონაცემთა დაცვა და უსაფრთხოება, ინოვაციური მიდგომებისათვის საფუძვლის შექმნა;

	<p>4. კომპიუტერული მეცნიერების უახლესი მეთოდების გამოყენებით მაგისტრმა განახორციელოს კვლევა, მიღებული მონაცემების კრიტიკული ანალიზი, შეფასება, დასკვნების გაკეთება და შედეგების წარდგენა აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისთვის ეთიკის ნორმების დაცვით.</p>
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>1. ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>1.1. აქვს კომპიუტერული სისტემებისა და გამოთვლითი გარემოს, პროგრამული უზრუნველყოფის, მედია აპლიკაციების დიზაინსა და განვითარებასთან დაკავშირებული ფუნდამენტური კონცეფციების ღრმა და სისტემური ცოდნა;</p> <p>1.2. ფლობს კომპიუტერული ტექნოლოგიებით კვლევის უახლეს მეთოდებს და აცნობიერებს მათი გამოყენების აუცილებლობას კომპიუტერული მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებაში ინოვაციური, ორიგინალური იდეების განვითარებისთვის;</p> <p>1.3. იცის თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით პრობლემის მათემატიკური მოდელის აგების, რეალიზაციის და მართვის ძირითადი პრინციპები.</p> <p>2. უნარი</p> <p>2.1. შეუძლია დარგის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით დამოუკიდებლად განახორციელოს კვლევა მულტიდისციპლინურ, პრობლემურ გარემოში მიმდინარე კონკრეტული მოვლენების გასაანალიზებლად აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;</p> <p>2.2. აქვს სხვადასხვა დარგობრივ სფეროში არსებული პრობლემების გამოვლენის, მათემატიკური მოდელების აგების, მათი გადაჭრის ინოვაციური გზების მოძიების და კომპიუტერული მეცნიერების თანამედროვე მეთოდებით რეალიზაციის უნარი;</p> <p>2.3. შეძლებს რთული სტრუქტურის ან არასრული მონაცემების კრიტიკული ანალიზის, ინოვაციური სინთეზისა და შეფასების საფუძველზე შეიმუშაოს კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების განსხვავებული სტრატეგიები;</p> <p>2.4. შეძლებს წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები, როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ საზოგადოებასთან ეთიკური ნორმების დაცვით და დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.</p> <p>3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p> <p>3.1. იყენებს მიღებულ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას ცვალებად, კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო და სამუშაო გარემოსთან ადაპტირებისა და მართვისთვის;</p> <p>3.2. შეაქვს საკუთარი წვლილი დარგის განვითარებასა და სრულყოფაში, მართვის ინოვაციური მიდგომების დანერგვით;</p> <p>3.3. იღებს პასუხისმგებლობას სხვების პროფესიულ საქმიანობასა და განვითარებაზე;</p> <p>3.4. აფასებს პროფესიული განვითარების საჭიროებებს და დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარ განათლებას.</p>

<p>შეფასების წესი</p>	<p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს შესაბამისად.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ყოველ სასწავლო დისციპლინაში ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც:</p> <p>ა. მიმდინარე აქტიურობა – 40 ქულა; ბ. შუალედური გამოცდები - 20 ქულა; გ. დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.</p> <p>შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულა.</p> <p>სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება, თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებებიდან: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას</p> <p>სტუდენტს საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>დავით დევაძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი</p> <p>საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი: (+995)599514249 ელ.ფოსტა: david.devadze@bsu.edu.ge</p> <p>ზაზა დავითაძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი</p> <p>საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი: (+995)574450530 ელ.ფოსტა: zaza.davitadze@bsu.edu.ge</p> <p>ვახტანგ ბერიძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი</p> <p>საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი: (+995)599938468 ელ.ფოსტა: vakhtangi@bsu.edu.ge</p>